სამაგისტრო პროგრამა

“მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები”

საგამოცდო საკითხების შესახებ

სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველები აანალიზებენ ნაწყვეტს ესედან, კონკრეტული მითითებების მიხედვით. მთლიანობაში, ანალიზი ფასდება 30 ქულით. ნაწყვეტი მოყვანილი იქნება ცნობილი ავტორების შემოქმედებიდან. განსახილველი თემატიკა შეესატყვისება სამაგისტრო პროგრამის პროფილს და შეეხება თანამედროვე მედიის პრობლემატიკას, მასობრივი კომუნიკაციის სფეროს განვითარების ტენდენციებს, ზოგადსაკაცობრიო და ჩვენი დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებს. ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, შევაფასოთ, რამდენად რელევანტურია სამაგისტრო პროგრამით სწავლის მსურველთა ცოდნისა და მომზადების დონე, კომპეტენცია, აზროვნების, განსჯა - შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უნარები, მათი ერუდიცია.

გაანალიზებული ტექსტის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 3 გვერდისა.